

# ნიანბი

თბილისი.  
გამოცემის წელი  
„კომუნისტური“

9/11 8  
5  
27



ნახ. ი. ჯიქიაშვილისა

## ორგვარი მნიშვნელობით

- ვითომ ჩვენი ახალი თავმჯდომარე ძველი თავმჯდომარის გზით ივლის?
- რასაკვირველია, მაგრამ გზას საფუძვლიანად შეაკეთებს!..



1) სამხედრო დამნაშავე ჰიტლერელებისათვის მოწყობილ ამერიკულ ზონაში.

2) იმავე ზონაში არსებულ ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკში.

### ახალი თავმჯდომარე

საბჭოს დარბაზში კანტი-კუნტად იკრიბებოდნენ. ახლად არჩეულ დეპუტატთა შეკრებამდე ჯერ კარგა ხანი იყო დარჩენილი. ისინი კი, ვისაც დანარჩენებისათვის მოეწონათ მოსვლა—ასე ვსაქვათ—სტუმრებიც იყვნენ და მასპინძლებიც. საბჭოს მუშაკები, თითქმის ყველა რანგისა და თანამდებობის თანამშრომლები—ბი—ერთგვარ სავარაუდო სიტუაციაში მოქცეულიყვნენ. საბჭოს ზვალინდელი სამუშაო დღე მათთვის სამუშაო დღეს კი არა—ჯერჯერობით ისევ კითხვითი ნიშანს შეადგენდა.

გამოწვეული იყო ეს იმით, რომ 11 იანვრის არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებამ ერთგვარი კორექტივი შეიტანა აღნიშნული საბჭოს თანამშრომელთა მუშაობის თავისებურ იდენტობაში. საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე არ დასახელეს კანდიდატად. მასადაამე, დღეს დეპუტატთა შეკრებაზე ახალი თავმჯდომარე უნდა აერჩიათ და, მასადაამე, ზვალინდელ მათ ახალი ხელმძღვანელი უნდა მოვლენოდათ.

მოგახსენებთ ადამიანის ცნობისმოყვარეობა: ყველაფერი ახალი აინტერესებს, მაგრამ საუწყებო ცნობისმოყვარეობა, ე. ი. ცნობისმოყვარეობა ამ ხალხისა, რომელნიც ახალ უფროსს ელიან, უფრო მძაფრი და მოუსვენრობის აღმძვრელია. ამიტომაც იყო, რომ ახლადმოსულნი ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყვნენ და მკითხაობდნენ იმის შესახებ, თუ რომელ დეპუტატს აირჩევდა დღევანდელი შეკრება საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ამის გაოცნობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ, ხოლო პირადად მდივნის, საქმეთა მმართველის, მთავუხისა და სხვებისათვის პირდაპირ საარსებო მნიშვნელობა ეძლეოდა.

მართლაც და ხომ საჭირო იყო სცოდნოდა—ვისთვის პირად მდივან ქალს—მარტს, თუ როგორი ხასიათის კაცი იქნება ახალი თავმჯდომარე? როგორი ჩაცმულობა უფრო მოსწონს მას, როგორი აზრისაა ის შემოსული საქმეების განხილვისა და საქმეზე მოსულთა მიდების საკითხში? მაგალითად, მაროსათვის ცნობილი იყო წინა თავმჯდომარის ნიკოფორეს ხასიათი: მან იცოდა, რომ თუ ნიკოფორე კაბინეტში იჯდა და რომელიმე ნაცნობს უსაგნო მუსიკის უსმენდა—საჩქარო საქმეზე მოსული მთხოვნელისათვის მაროს უნდა ეპასუხნა:

— „თავმჯდომარეს არ სცალიან, მოქალაქე, სასწრაფო მოხსენებას ამზადებს.“

— „დასტოვებ განცხადება, უახლოეს ხანში სდლომა იქნება და განიხილავს.“  
დატოვებულ განცხადებას მარო ქაღალდების გროვაში სდებდა, მთელ კვირას აგროვებდა ასეთ ქაღალდებს, შემდეგ ნიკოფორეს შეუტანდა, ხოლო ნიკოფორე ზედდაუხედავად მისცემდა „საქმიან მიმართულებას“.

— შეინახე „სასწრაფო განსახილველ“ საქმეებში, როდესმე წაიკითხოთ.

ეს ის „სასწრაფო განსახილველი“ საქმეები იყო, რომლებიცაც მთელი კარადა გატენილი დასტოვა ნიკოფორემ, ხოლო ამ კარადას საბჭოს არქივის ფონდში გაჩენილმა ობობებმა პირდაპირ ბადესავით გადაასოვეს თავისი ქსელი.

არანაკლებ აინტერესებდა ახალი თავმჯდომარის ხასიათი და გემოვნება საქმეთა მმართველს—მელიტონს. ხომ საჭირო იყო წინასწარ სცოდნოდა მელიტონს: უყვარს თუ არა ახალ თავმჯდომარეს ხუმრობა? მელიტონს მთელი შტატი იცნობდა, როგორც ოხუნჯ კაცს და თავისი მოსწრებული სიტყვებით მოხიბული ჰყავდა წინა თავმჯდომარე. მან ისეთი მდგომარეობა შეუქმნა მელიტონს, თითქოს ოხუნჯობა მისთვის თანამდებობით დაკისრებული მოვალეობა ყოფილიყო.

ამიტომაც იყო, რომ მელიტონი შემოსულ საქმეებს ამჟავებდა. მეტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი თავმჯდომარის ხასიათის ცოდნას ხაგეგმო და კომუნალურ განყოფილებათა უფროსებისათვის. მაგალითად, მათ იცოდნენ, რომ ნიკოფორეს უყვარდა ქაღალდებზე გეგმების კორიანტლის აყენება, დიარამების შედგენა და გამოფენა, ასიგნოების ცხრილების გაკვივა, მაგრამ საქმით კი მშენებლობა ბედისანაბარა მიმდინარეობდა.

რა მიდრეკილების კაცი იქნება ახალი თავმჯდომარე? როგორ უნდა წარემართათ მათ მშენებლობის საქმე—ქაღალდზე თუ ნამდვილად?

ესა და მსგავსი ამაღლელები საკითხები ტრიალებდა თანამშრომელთა ყველა ჯგუფში. ყველა თავის კომპეტენტურ მოსაზრებას გამოსთქვამდა და გულისფანცქალით ელოდა შეკრების შედეგს. საათის ისარი კი დანიშნულ წერტილს უახლოვდებოდა და რამდენადაც დარბაზი ივსებოდა ახლად არჩეულ დეპუტატებით, იმდენად საბჭოს თანამშრომელთა ჯგუფები კუთხისაკენ მიიწევდნენ და ერთ წრედ იჭეოდნენ.

დიდხანს აღარ გავრმელებულა მათი დისკუსია. საათმა დარეკა და თავმჯდომარის ზარიც აწკრიალდა. შესავალ სიტყვას საქმიანი რეკლამენტი მოჰყვა, ხოლო განსახილველი საკითხების ამოწურვას—საბჭოს ახალი თავმჯდომარის დასახელება.

ერახმად აირჩიეს რაუდენ ჯომარელი. საქმით შემოწმებული მტკიცე ბოლშევიკი, ენერგიული, ბეჯითი, პირდაპირი, ხალხისათვის თავდადებული მსახური. ეს ის რაუდენ ჯომარელია, რომელსაც სძულს ყოველგვარი ზერელე ფორმალობა, მლიქვნელობა, ლაზღანდარობა, საქმის გაკაანურება და დღე და ღამე იმაზე ზრუნავს, რომ დაკისრებული საქმე სანიმუშოდ შეასრულოს.

არ ვიცით საბჭოს საუწყებო შტატის რომელ თანამშრომელს გაუმართლდა ვარაუდი, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ იმ დღიდან საბჭოს მთელა პარატში საქმიანი გარდაქმნა დაიწყო მუშაობისაც და მომუშავე ადამიანებისაც.

უარსლანი

# "მაკვლე"



შარშინდელი 31 დეკემბერი ყარამანმა ოჯახში გაატარა... შუალამედ დაფუსფუსებდა აქეთ-იქით. ხან გოზინაყისათვის ნიგოზს სჭრიდა, ხან საცივს ურევდა, ხან კიდევ პირდაღებულ თხელ ხაჭაპურს ქურდულად ილუქებოდა. დიდი კმაყოფილი იყო ყარამანი თავისი ბედის. იმ დამეს მის სახეს ღიმილი არ მოჰკლებია. შუალამისას ცოლშვილს ახალი წლის მობრძანება მიულოცა, გადაჰკიცხა, ერთ ჭიქა არაყს გოზინაყი დააყოლა, „ასე ტკბილად დამიბრძნითო“ მიაძახა ცოლშვილს და გაქათბებულ ლოგინში შეკოტრილდა. შეკოტრილდა მაგრამ დილაამდე თვლი არ მოუხუჭავს. აქეთ-იქით ბრუნავდა, ხენეშოდა, ვერ ისვენებდა, ერთი ამბავი აწუხებდა: ახალწლის დილას პირველად ვინ შემოადგება მისი ოთახის კარებს, ვინ იქნებოდა მეკვლე. ფიქრებისაგან ნაწამებ და დაქანცულ ყარამანს ჩასთვლიდა, მაგრამ უტებდ კარებს ვიღაც მოაწვა, სუსტად დაკეტილი კარი გაიღო, და ოთახში შეზობლის ბომბორა ძალი შემოვარდა, საწოლთან მივიდა და ყარამანს თავში თათები ჩასცხო...  
— რა ამბავია, ვინ არის, — წამოიძახა ყარამანმა...  
— უი, დამიდგეს თვალები, ბროლია შემოსულა...  
— ა? ბროლია? — ვერ გარკვეულიყო ბურანში მყოფი ყარამანი, — აიტ, გარეთ გაეთრიე, ძაღლი! — წამოიძახა ყარამანმა, ხელი საკეცეს წამოავლო და მოულოდნელი „მეკვლე“ ბროლია სულ წიოკობით გააგდო გარეთ.

— რომ აგიშვიათ ეს ძაღლი, ვერ დაბამთ? ლოგინში აღარ გვაძინებს, ყაჩაღებით სახლში გვეჭრება, — ჰყვიროდა ეზოში საცვლებსამარა, გაბრაზებული ყარამანი და საკეციტ ძაღლისკენ იწედა. ბროლია, რომელიც სახლის კუნჭულში იყო მიჭყვდებული, შემტევის ხელის ყოველ გაქნევაზე იღრინებოდა. ყარამანი დარტყმასაც ვეღარ ბედავდა არ მიკბინოსო, და ბოლოს არჩია სახლში შესულიყო...  
— ეს რა უბედურება დამატყდა თავზე? სირცხვილით სად ვთქვა ძაღლი იყო ჩემი მეკვლეთქო. მის დღეში არ შემოსულა, და რაღა ამ ახალწლის დილას შემოვარდა, — ბურდღუნებდა გულზე განეთქილი ყარამანი.  
— დასწყევლოს ეშმაკმა, როგორ კაცივით მოაწვა კარებს, როგორ შემოგვინგრა ჩაკეტილი კარი, — ამბობდა ყარამანის შეშფოთებული მეუღლე — ნათელა.  
— ჩემი მეკვლე ძაღლი იყოს? არა, ეს რაღაც სხვა ამბავია ჩემს თავზე, — ბურდღუნებდა ყარამანი, გულგახეთქილი თვალელებ აქეთ-იქით აცეცებდა, და თან ტანთ იცვამდა.  
მთელი დღე ყარამანს და ნათელას სახეს ღიმი არ მიჰკარებია, არც სტუმარი სჩანდა.  
— ხედავ რა ჯადო გაკვიკეთა იმ ძაღლმა? აღარც სტუმარი მოდის, — გულმოკლულად ჩილაპარაკა ყარამანმა და ტახტზე წამოწვა, წამოწვა მაგრამ ვერ მოისვენა, წამოდგა, ისევ ეზოში გავიდა და ბროლიას მიუბრუნდა:  
— რა მოგელანდა რომ მთელი წელიწადი ჩამაშხამე, რა სიჭდილმა შემოგავდო ჩემს ოთახში, აი მოგიკვდეს პატრონიც. — ეს უკანასკნელი სიტყვები ყარამანმა ხმადაბლა სთქვა რომ არავინ გაიგონოსო, ის იყო ძაღლისთვის წინხლი უნდა ჩაერთყა, მაგრამ ბროლიამ მოასწრო და ფეხზე უკბინა.  
— უჰ, კი არ მიკბინა კაცო? არა, პირველ დღესვე რომ უბედურად მიდის ჩემი საქმე, შემდეგ რაღა ბერი დამეყრება? — წამოიძახა ყარამანმა, რომელიც ოთახში კოჭლობით შემოვიდა.  
— მიშველე ქალო, სახლში მის შემოსვლას ვინდა ჩივის, მაგ სამგლეში კი არ მიკბინა?! არქა ჩქარა იოდი, — უთხრა მეუღლეს და ტახტზე ჩამოჯდა.  
— უი, მომიკვდეს თავი, ვეღარ მოეშვი შე კაცო? — უთხრა ნათელამ და იოდი მიაწოდა.  
გადიოდა დღეები და თვეები. უნდა გენახათ ყარამანის ცრუმორწმუნე გული როგორ მალი-მალ იცვლებოდა. თუ საქმე გაუფუჭდებოდა საბრ.ლო ბროლიას კეციტ მივარდებოდა და ეკყოდა:  
— შენ დამაღუპე, შენ დამაქციე, მეკვლეთ რომ ძაღლი გეყოლებოდა ძაღლურად წავიგა საქმე აბა რა იქნება, — და ურტყამდა. მაგრამ როგორც კი კარგ საქმეს გააკეთებდა და ფულეებს ბლომად აიღებდა, ეზოში სულ სიმღერით დადიოდა:  
— რა გიჭირს რა, ძაღლის ბედი გაქვს ბიძია, კეთდები და ისაა, — ეტყოდნენ მეზობლები.  
— იმიტომ რომ ძაღლი იყო ჩემი მეკვლე, ბროლიას ვენაცვალე, ბროლიას, ზოგი ძაღლი რომ ზოგიერთ კაცს ჯობია, არ იცით? მაგის წყალობითა მაქვს ყვე-


ლაფერი, — უპასუხებდა ყარამანი, უღვაწე ხელს გადაისვამდა და დაიღრინებდა:  
იფ, იფ, გენაცვალე ბროლია,  
იფ, იფ, ეს რა მეკვლე მყოლია...  
მაგრამ მეორე ახალი წლის მოსვლას ორი კვირა აკლდა, რომ ყარამანი მეტად ცუდ გუნებაზე დადგა: ფული ბლომად ჰქონდა მოგროვილი და სახლში ჩუმად შენახული. — ფულის რეფორმამ მოუსწრო და ყარამანიც ჯავრისაგან რუმბივით გასივდა, მაგრამ თავის საიდუმლოებას არავის უმხელდა. ერთ საღამოს ყარამანი სახლში მთვრალი დაბრუნდა. ფეხაკრებით მივიდა ძაღლის სადგომთან და შეჩერდა:  
— არა, რას მერჩოდი, შე უნამუსო, რა დაგიშავე, როცა მქონდა ხომ მეც გაქმევიდი, რა ჯავრი გქონდა ჩემი რომ დამაქციე და დამღუპე, რაღა მე ამომიჩინე შე ოხერო ა? — სთქვა ყარამანმა და ძაღლი ისე გალახა, რომ საწყალი ბროლია მთელი ღამე კენესოდა და წმეტუნებდა.  
— რას ვერაი კაცო მაგ ძაღლს, — ჰკითხა მეუღლემ.  
— შენი საქმე არაა...  
— არა მაინც რა დაგიშავა, — აღარ მოეშვა ნათელა ყარამანს სახლში შემოსვლისას.  
— ფული რომ გამიუქმა... ისიც მაგის ბროლია...  
— რომელი ფული?

— რომელი და რომელიც მოულოდნელ ხარჯებითვის ჩუმად სახლში მქონდა შენახული...  
— არაფერიც არ გაუქმებულა, ის ფული დიდი ხანია შემსალაროში მაქვს შენახული, — უპასუხა ნათელამ და ერთი მადიანადაც გადაიხარხარა...  
ყარამანი თითქოს ახლა გაცოცხლდა, სახე შეეცვალა, სასწრაფოდ გარედ გავიდა, და კვლავ ძაღლს მიაშურა:  
— შენ გენაცვალე ბროლია, არა, ვიცოდი რომ არ გამწირავდი. შენი სახელის ჭირიმე, შენი, — სთქვა ყარამანმა და ხელი მოსაფერებლად ბროლიასაკენ გასწვია. ბროლიამ ერთი დაიღრინა და შეშინებული ყარამანი ოთახში შექუჩულდა.  
— არა, დიდი ჭკვიანი ძაღლი კია ჩვენი ბროლია.  
— ბროლია კი არა შენი ცოლია ჭკვიანი, შენთვის რომ მეყურებინა ის ბროლია ცოცხალი არ გადავიჩეზოდა, — უპასუხა მეუღლემ...  
ყარამანი მთელი განულილი წლის დიდი კმაყოფილი იყო.  
ახალწლის რიყრაყზე ყარამანმა კარი თვითონ გაუღო ძაღლს, პურიც დაუყარა, ბევრიც უწრუჭუნა, მაგრამ ბროლიას სახლში ფეხიც არ შეუღდა.  
საწყალ ყარამანს ამ წელიწადში ახლა ეს გაუხდა საჯარებლად.

კ. გელათილი

## აღიას დარდი — ფდავიანო...

ნახ. გ. თომაშვილისა



— ერთმა კაცმა მითხრა: ახლა ყველა პატროსანი შრომის მოყვარული კარგად ცხოვრობს და მომავალში უფრო უკეთ იცხოვრებსო...  
— მერე რაღა გაწუხებს?  
— ვა! როგორ თუ რა? ესე იგი მე ცხოვრება უკვე გამითავებია რაღა!



მკითხაობა ტროლიბუსის მავთულეზზე: „იქნება—არ იქნება, მოვა—არ მოვა?“

### ცხოვრება და მექანიკა

მე და კაკო ერთად ვებრძოდით ზაფხულის უკანასკნელ სიცხესა და საგამოცდო საგანს. საგნის ჩაბარებამდე ორი დღე დაგვრჩა და ამ საგანმა იმდენად გაგვაწამა, ხუთებიც რომ მივველო, მაინც სანანებლად დაგვრჩებოდა.

სალამო ხანს, როცა მექანიკის განმეორება დადლილობისაგან მექანიკურ ტიკ-ტიკად გადაგვექცა, გადავწყვიტეთ სანაპიროზე გაგვესიერნა და მტკვრის ჰაერით გვესარგებლა.

სწორედ აქ დაიწყო ჩვენი მეცნიერული ტრაგედია.

ჯერ ისევ მათემატიკური ფორმულების ლექვაში ვიყავით, რომ განაპირა სკამზე თვალი მოვკარით ერთ მშვენიერ არსებას, რომლის საშუალებითაც სატრფიალო ლექსების მოყვარულ პოეტს შეეძლო რამდენიმე ათასი მანეთი ჰონორარი გაეკეთებინა. ეს ქალი ისეთი გახლდათ, რომელზეც ყველა უცოლო კაცი იფიქრებს, კარგი ხასიათი თუ აღმოაჩნდა, ქმრობაზე უარს არ ვეტყვიო.

იჯდა ჩვენი გულის ამფორიაქებელი და წიგნს კითხულობდა.

ყველა დაგვეთანხმება, რომ დასვენებისათვის იმაზე უკეთესი არაფერია, იჯდე სუფთა ჰაერზე და წმინდა გრძნობებით ეტრფოდე და უსაუბრებოდე ლამაზ ასულს...

როლში შევედით: კაკო მეუბნება:

—ეს ქალი თუ არ გავიცანით, ორივეს ორიანი გვეკუთვნის, ცხოვრება მართო მექანიკა როდია!

—მივიდეთ, გამოველაპარაკოთ, კულტურული ქალიშვილი სჩანს; გაცნობაზე უარს არ გვეტყვის,—ვეუბნები მე და, მართალი გითხრათ, თითქოს მშურს, რომ ჩემი მეგობარიც უცოლოა.

—ასე არ გამოვა,—ჩიფჩიფით ამბობს კაკო,—უსაქმოები ვეგონებით და შემოველანძლებით. შორიახლოს დავსხდეთ, ვიმსჯელოთ

რაიმე საკითხზე და თან ვუთვალთვალოთ, შეიძლება თითონვე დაინტერესდეს ჩვენი გაცნობით...

კუჭაში დამიჯდა. ერთ სკამზე ჩამოვსხედით და მექანიკურად ისევე მექანიკაზე გადავედით. კაკომ რაღაცა დაიწინა და ცხარე კამათი გამიბა. ჩემი მეგობრის შეურაცხყოფა არ მინდა, თორემ გეტყობდით, რომ ეს საგანი მასზე უკეთესად ვიცი. მაგრამ იმჟამად იმდენად დავიბენი, აღარც კი მახსოვდა რაზე ვეკამათებოდი.

ჩვენი საოცნებო ასული ეტყობოდა ჩვენს კამათს ყურს დიდხანს უგდებდა და როცა ჩვენ უთანხმოების მწვერვალს მივუახლოვდით, იგი წინ დაგვიხვდა:

—მერე, მერე, ყმაწვილებო? თქვენ თითქმის არც ერთი არა ხართ მართალი, მაგრამ აი თქვენ,—კაკოზე მიათითა,—სწორ აზრს ავითარებთ... თქვენ კი მართალი არ ხართ!..—მომმართა მე.

ისე დავიბენი, საგანი კი არა, სიტყვების ერთი მეორეზე გადაბმა დამავიწყდა.

—რა დაგემართათ, გამოცდას ხომ არ მამბარებთ, რატომ დაიბენით?—სთქვა მან.

მე ვეღარ ვუთხარი რომ არასოდეს ასეთი ძნელი გამოცდა არ მქონია. კაკომ კი მდგომარეობიდან გამოსავალი ნახა:

—მე აკაკი მქვნიან. ეს ჩემი მეგობარია. სტუდენტები ვართ... მექანიკას ვამზადებთ...

—მანანა!—მოგვიგო მან და ხელი ჩამოგვართვა.

—თქვენ ინჟინერი ბრძანდებით?—ჰკითხა კაკომ.

—ღიას, მაგრამ ახლა ინჟინრად აღარ ვმუშაობ.—სთქვა ახალგაცნობილმა.

—ალბათ გათხოვდით და ქმარი თქვენი მუშაობის წინააღმდეგია, არა?—ამოვილულულე მე.

—არა, მიზეზი ეგ არ არის. მე გათხოვილი არ ვახლავართ, მაგრამ გადატვირთული ვარ და დროს ვერ ვშოულობ!

გულზე მომეშვა და კითხვა აღარ გავუმეორე.

—სად შეგვიძლია თქვენი ნახვა?—დიდი პაუზის შემდეგ მოახერხა კაკომ.

—ჩემი ნახვა ძნელი არ არის, მაგრამ მე თქვენგან იმის შეხვედრა გამეხარდება, რომელიც ხუთზე ჩააბარებს!

ასეთი რამ მხოლოდ ზოგიერთ წიგნში წამეკითხა. ნუთუ ქალი მეგობარს გამოცდაზე მიღებული ნიშნების მიხედვით ამოარჩევს? გამოდიოდა რომ ფრიადოსანს ლამაზი ცოლი უნდა ჰყავდეს, დანარჩენებს კი გონჯი!

ჩვენმა ამფორიაქებელმა აღარაფერი სთქვა. გამოგვემშვიდობა და წავიდა.

—მისამართი მაინც გვეკითხა, სადლა ვნახავთ!—ამოვიკენესე მე.

—შენ ქალის ხასიათი არ იცი,—გაიცინა კაკომ,—ხვალ ის აქ ჩვენზე ადრე მოვა, ვერ მიხვდი, როგორ მოვეწონე?

მეგობრის წინადადების პირველ სამ მეოთხედზე კინალამ აცეკვედი, მაგრამ ბოლო სიტყვებმა ფრთები ისე ჩამომაცვლა, იმ მდგომარეობაში რომ დავრჩენილიყავი, სანაპიროს სტუმარი დიდხანს ვიქნებოდი.

ხმაამოუღებელი წამოვედით და ის ღამე საგამოცდო სამზადისში გავათენეთ. სინათლეზე თუ სიბნელეში ხუთიანი და მანანას სახე მეღანდებოდა.

მეორე დილას, სრულ ცხრა საათზე ავთვალეთ ინსტიტუტის კიბეები. ლექტორის ძებნა დავიწყეთ, მაგრამ მეგობრებმა საშინელი ამბავი დაგვახვედრეს. გამოცდას თურმე ვილაც ახალი დოცენტი იბარებდა, სხვა ინსტიტუტიდან ახალგადამოსული და იმდენად მკაცრი, სამიანს რომ სიზმარშიც კი მოგანატრებს.

ბედს შევეგუეთ, თავი იღბალს მივანდეთ და გამომცდელი მოვძებნეთ. მოვძებნეთ და სწორედ აქ ვახლავთ ჩვენი ღირიული ტრაგედიის დასასრული. ჩვენმა გუშინგაცნობილმა საოცნებო მანანამ, ამჟამად ჩვენმა გამომცდელმა, არც ერთი აღარ გამოგვცადა. კაკოს ოთხი დაუწერა, მე კი სამიანი მაკმარა და დააყოლა:

—თუ საგანი გესმის, ვერავითარი შემთხვევა ვერ დაგაბნევს! შემდეგი პაემანი კი ორივე მეგობარს ჩავგეშალა.

# რუსთავს სალამი!

ნახ. დონისა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



აშენდა რკინის ქალაქი ხალხის შრომით და ამავეთ,  
რუსთავს ხელს ართმევს თბილისი, ვით ქაბუჯს გზირი ქარშავი.

მოდის, მიზრწყინავს ფოლადით, ზღაპრულ გმირივით იზრდება,  
ჩვენა სამშობლოს სიმტკიცე, ახალი ქართლის დიდება.

ფულის რეფორმამ სწორედ რაიონში მომსწრაფა და, რა თქმა უნდა, მხოლოდ მეორე დღეს გავიგე, რადგან რეფორმის დღე კვირა იყო და კვირაობით რაიონში კი არა თბილისშიც იწვიათად ვარ ფიზიკელი.

რეფორმის შედეგად რაიონულ ბაზარზე ფასები საოცრად დაეკარა. ღვინის ფასი 5-6 მანეთამდე დაეკარა.

სასადილოებსა და სამტრედიის ღვინოს რომ კაცი არ ეკარებოდა, ეს იმთავითვე შევნიშნე, მაგრამ ქალაქის ცენტრში კიდევ რყო ერთი მაღაზია, რომელსაც ახლო არავეინ ეკარებოდა.

დავინტერესდი. სახელგამის მაღაზია აღმოჩნდა. მართალი გითხრათ ამ გარემოებამ გამოიცა და გული მატკინა. როგორ, კულტურულად ისეთ დაწინაურებულ ქვეყანაში, როგორც ჩვენი საქართველო, საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე რაიონის ცენტრში წიგნის მაღაზიას კაცი არ ეკარებოდა?

სად არის რაიონის ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა?

დახდთან ღვინისაგან თვალდასიებული ხალხთ-გაქონილი გამყიდველი იდგა. იგი დახლებ მუშტს



ურტყამდა და გაუხსნელი წიგნების შეკვრაზე მხარეთმოზე წამოწოლილ თანამოსაუბრეს ექაჩებოდა.

— არსად კარგ ადგილზე არ გამაჩერეს, პურის მაღაზიიდან მომხსნეს, უნივერსალიდან გამომაგდეს, ბოლოს აქ დამნიშნეს. რა ოხრად მიინდა, წიგნებს ხომ არ შევკვამ, თავი ვარ თუ!

წიგნებზე წამოწოლილ მოქალაქეს ეტყობოდა დიდად არ აწუხებდა „გაუბედურებული“ გამყიდველის ბედი, თავს ზრდილობისათვის უქნევდა და ხშირხშირად ამტყნარებდა.

წიგნის თაროებს დავაკვირდი. ნახევარზე მეტი ცარიელი იყო.

სქელი მტერის ქვეშ რამდენიმე სახელწოდება ამოვიკითხე: „...ინსტიტუტის შრომები“, „მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“. მათ გვერდით ტექვრვისა და შარდ დე კოსტერის წიგნები ეწყო, რუსული გამოცემები.

ამ უკანასკნელებმა გამაზარეს, თბილისში ვერსად ვიწოვე და სწორედ ბედად წავაწყდი.

— მომეცით ტექვრვის რომანი.— მიემართე გამყიდველს.

წიგნის გამყიდველმა ალბათ ნათქვამი თავის მისამართით არ ჩასთვალა, ჩემსკენ არც მოუხედია.

თხოვნა რომ გავუთქორე, მხოლოდ მაშინ მობრუნდა.

- შე შეუბნები?
- დიან, ტექვრვის რომანი მიინდა.
- არ გვაქვს.— მკვანედ მომიტრა.
- როგორ არ გვაქვს, აი თაროზე მთელი დასტად დგეს.— მივუთითე თაროზე.

გამყიდველმა გაკვირვებით შემომხედა, მერე თაროზე აიხედა, ეტყობოდა ძალიან მალა ეჩვენა.

— ჰო, მაი კი არი, რაცხა რუსული წიგნია, მარა რა ავა ახლა იმ სიმადლებე...

— მე ავალ ბიძია, მე ჩამოვიღებ.

მომესმა ვილაყის ხმა. მოვიხედე, თხუთმეტოდე წლის ბიჭი იდგა, უკვე თაროზე ასასვლელ კიბეს მიწვდომოდა და გამყიდველის დასტურს უცდიდა.

— ადი, მარა ასტაროვნათ ჩამოვიღე, მტვერი არ დამაყარო.— მისკენ მოუხედავად თქვა გამყიდველმა და თავისი საუბარი განაგრძო.

ახალგაზრდამ წიგნები ჩამომიღო, ფული გადავიხადე.

— ქართული საკითხავი წიგნები არ მოსდის თქვენს მაღაზიას? მაგალითად ყაზბეგი, ნინოშვილი.

— არა, თვალთ არ გვინახავს.

— იქნებ მოდის და ასე ყრია გაუხსნელად.— ხელით წიგნების გაუხსნელ შეკვრაზე ვანიშნე.

— შეიძლება, თუმცა ამის წინ გამოცდილი გამყიდველი მუშაობდა აქ, სულ იმას ჩიოდა საჭირო წიგნებს არ მიგზავნიან თბილისიდან, სპეციალური ლიტერატურა აქ რა საჭიროა, რაიონების მოთხოვნილებას არ იცნობენ, უწიგნურები ხომ არ არიან, რომ ჩვენთვის საჭირო წიგნებს თბილისის საწყობში აღმოებენ?

წიგნების თაროს ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი. ჩემს გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდა სქელი მტერის ქვეშ დამარხული შრომები და უიღბლო გამყიდველის უკმაყოფილო, მაგრამ „განათლებული“ სახე.

ბარაქალა ქართველო მკითხველო, რომ ასეთი გამყიდველებისა და წიგნის გასაღების მესვეურთა ხელში კიდევ ახერხებ წიგნისაკენ გზის მიკვლევას.

\* \* \*

რაიონში ერთი უცნაურობაც შევნიშნე. კინოთეატრები ცუდად მუშაობენ. როცა შენობაა გასარემონტებული, ან აპარატი არ მუშაობს, ან მექანიკოსი არ ვარგა, რაიონის ხელმძღვანელები თურმე თბილისს უცდიან, ყველაფერს სამინისტროსაგან ელიან და ვიდრე სამინისტრო არ დაეხმარებათ, თითსაც არ გაანძრევენ.

უბრალო კრამიტი ხომ კრამიტია, რაიონს კრამიტი მაინც აქვს, ათოდე ცალი კრამიტით კინოთეატრის დახურვა არც თუ ისე დიდი გმირობაა, მაგრამ ზოგი რაიონის ხელმძღვანელს ეს მხოლოდ სამინისტროს ვალდებულებად მიანჩნია.— მე ჩემი საქმეც ბევრი მაქვს, ნეტავ იმას გავწვდებოდე, სამინისტრო რას აკეთებსო. გაიგონებთ ზოგჯერ ასეთი ხელმძღვანელებისაგან.

როგორ არ გვანან მათ ბევრი ჩვენი რაიონის ხელმძღვანელები აბა ნახეთ როგორი თეატრები, კინოთეატრები და კულტურის სახლები აშენდა და შენდება ზესტაფონში, კიათურაში, ამბროლაურში, მახარაქში!

\* \* \*

კინოსა და თეატრში არ ვყოფილვარ, საქმეები მოვთავე და იანვრის შუა რიცხვებში თბილისისაკენ გამოვიწვიე.

ჩვენი რკინიგზის წყალობით რაიონში მიღებული სიამოვნება ყოველთვის უნდა წამწარდეს კაცს. როგორც იქნება შეხვალ მატარებელში, იგლი ვაგონიდან ვაგონში, მიაგნებ შენს ადგილს, მაგრამ შენს ადგილზე აუცილებლად სხვა წევს, ან ფეხზე მდგარი უნდა ჩამოხვიდე თბილისამდე, ან (თუ ფული კიდევ გაქვს

თან) კონდუქტორთან უნდა ნახო „საერთო ენა“. (თუ ენა და ფული არა, საერთო კიკა მაინც).

ასე იყო, თუ ისე, მოვეწყე მატარებელში. ვაგონში ბევრი რამ საინტერესო გავიგე თბილისის ცხოვრებიდან.

— ტყუილად არ ვიარეთ საბურთალოზე იმ დღეს!— სწუხდა ახალგაზრდა ქალი.

— აბა, რაგა გაგბრყვიდით, თითზე გადახვევა აღარაფერი იწოვება.— უბასუხა მეორემ დანანებით.

— რაგა, ბატონო, ბაზარი აღარ არი თუ?— იკითხა მესამემ, რომელსაც სულგუნი მოჰქონდა თბილისში გასაყიდად.

— ბაზარი კი არი, მარა სპეკულანტებს აპატიმრებენ და მატერიალს და ფესაცემელს წამლად ვერ იწოვი ბაზარში.

— როდის ბრძანდებოდით ბაზარში?— იკითხა ტყავის პალტოიანმა ქალარა კაცმა.



— იმ კვირაში გახლდით, ბატონო.

— გამოცდილება არ გქონიათ. მატერიალს ვერ უნახავდით ხელზე, მარა ისე ბაზარზე მოსიარულდე ხალხი ხომ ნახეთ?

— ისე მოსიარულდე? კი, ბატონო, ხელცარიელი ხალხი კი იყო ცოტა.

— ჰო და სპეკულანტები ისინი არიან, უნდა მიხვიდე და ჩემად კითხო, რაც გჭირდება; თან არ ექნება, ვერ ბედავენ, ლაჭერის ფეხიანთ, ბინაზე წაგიყვანს და მოგირიდება.


— მილიცია მაგნიარ ხალხს არ დევნის თუ?

— მილიციას საბუთი უნდა, ხელზე ვერ დაეუჭირე და რას ვერჩიო...

გათენდა თბილისში რომ შემოვედით. სადგურის წინ ჟამრავი მანქანები იდგა. ხალტურაზე გამოსული რამდენიმე შოფერი შემომხეცია:

— საით გინდათ, მობრძანდით... ის იყო დავაპირე ერთ-ერთისაკენ წასვლა, რომ ტაქსის კონდუქტორის ყვირილი გავიგონე: ადგილები არის, მობრძანდით. ტაქსში მოვთავსდი, კარგა ხანს ვიდექით, კონდუქტორი მანქანის გასვლას უცდიდა, მაგრამ ამაოდ. მერე როგორც იყო მანქანა დაიძრა, მოვილოდით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვესმოდა კონდუქტორის ყაყანი:

— ცხოვრება გაიფადა, ხალხი ტროლეიბუსში აღარ ჯდება, ტრამვაი უფრო იაფიაო, ტაქსი სამი მანეთია, სამი კაცი არ ჯდება, ხალტურის შოფრებს ვინ მიეკარება... გაი მაგათ პატრონს!..



ამისთანა ლექსების წერა მაშინ გვატეხება, როცა უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი იქნები, ეხლა კი უკეთესად უნდა სწერო.

იაკინთე ლისაზვილი

გურიის სოფელში  
(სურათი)

კვირა დღე იყო. საბჭოს წინ კოლმეურნეები შეკრებილიყვნენ და ბაასობდნენ.

ცაცხვის ამოკუნძულ ფესვზე ერთი შექალაქარავებული კოლმეურნე ჩამომჯდარიყო. მიწას წვეტიანი ჯოხით ჩიჩქნიდა. როცა რაიმეს თქმა დასჭირდებოდა, ჯერ თავის გრძელ უღვაშებს ენერგიულად გადაიგრებდა, შემდეგ იწყებდა. სხვები შორიახლო იდგნენ, ან ისხდნენ, თამბაქოს წვედნენ, ჰაერში ბოლს აყენებდნენ და ყურადღებით უსმენდნენ იმ გრძელჯოხიან კოლმეურნეს, ან საუბარში განგებ იწვევდნენ.

— კი მარა, კირილე, ამ ალია თათარს რა უნდა თუ იცი? — შეეკითხა ერთი ჩოხიანი, რომელსაც ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და კირილეს სახეგაბადრული მისჩერებოდა.

— როგორც კუზიანი არ გასწორდება, ისე მაი ალია არ გასწორდება. როცა გვიჭირდა — ტურასავით წამოგვეპარა, არდაგანი და ყარსი მოგვპარა, როცა მოგვაგრდით — კუდი დაიმოკლა და მიიმალა, მარა ახლა ტურებისათვის არა გვცალიან. აი დიდ მგელს ჩამოვიშორებთ და მაშინ ტურა თვითონ წახდება.

— ეს მგელი რომელია, კირილე? — ახლა სხვა მხრიდან შეეკითხა ხანშესული, წითური კაცი, რომელიც რიყის ქვაზე ჩამომჯდარიყო და ჩიბუხს მადიანად წუწნიდა.

— არ იცი თუ? — თითქოს წყრომით უთხრა კირილემ. — მგელი ის არის, ამას წინათ შენი ცხენი რომ წააქცია შარაზე და მუცლიდან მთელი ხორაგი დააყრევინა. ამერიკას ატომი კვერცხებივით ჩაუწყვია ჯიბეში, დადის და ხალხს აშინებს. მხოლოდ ჩვენ ვერ შეგვაშინა მაგ მეკვერცხემ, ალია კი გაასულელა.

— მეკვერცხე ვის შეაშინებს, ძამიავ, — ჩაუროო ვილაცამ.

— არა, ცოტა განსხვავება კი აქვს ნამდვილ კვერცხთან, მარა ჩვენ მაინც ვერ შეგვაშინა, — განუმარტა კირილემ. — ლონდონში ისეთი დღე დააყენა მარშალს მოლოტოვმა, რომე ბევინმა და ბილომაც ველარ უშველა. წაახდინა ყაზახი! კულზე რომ ფეხი დააქირა, სულ „საიდუმლო ბარათები“ დააყრევინა და მისი დოლარების შავი საქმეები მთელ დუნიაზე გაუნიავა.

— კი მარა, ამ ანგლის საქმე ვერ გამიგია, — წარმოსთქვა იმავე, წითურმა კაცმა, — ცალი ხელი ჩვენკენ გამოუწვდია და პურს გვთხოვს, მეორეთი მარშალის დოლარს ჩასჭიდებია და არ ეშვება. რა ქვია ამას?

— რა ქვია და ინგლისი ქვია! — მიუგო კირილემ. — როცა პური მივეცი — იდენმა თქვა: „კარგია“, — ჩერჩილმა თქვა: „კუდია“. მოდი და გაუგე, რომელია მართალი! ისე ჰო, ერთად არიან და ერთად დადიან, მარა იი, რაცხა ეტლია თუ მატარებელი, რა მოგვიტანა? სოციალიზმი მინდაო და ბურჟუას აშენებს, მშვიდობა მინდაო და ამერიკის წაქეზებით გერმანიაში დადებულ პირობას თავვივით ხრავს. მერე, კოლონია აღარ მინდაო, მარა უკანა კარიდან სახლს უტალახებს, რაც შიგ ქონია თუ თავლია თავისთვის მიაქვს და სჭამს. ჰო და, მოდი გაიგე, საით მიდის, ან სად მივა ეს ეტლი, რომელშიაც ჩერჩილი ზის; ბუსავით გაბერილი ბევინი კი უკან მისჩხავის და გაღმით, საფრანგეთში, აყლაყულა დეგოლს ეძახის!

— სად ეძახის ნეტავი დეგოლს? — ჰკითხა ქაბუქმა, რომელიც ის იყო აქ თავშეყრილ კოლმეურნეების ჯგუფს შეუერთდა.

— საიქიოში! — მიამახა კირილემ, ჯოხი უფრო ღრმად ჩაასო მიწაში, ზეზე წამოღდა, უღვაშები ახლა გაბრაზებით გადაიგრინა. — ყველაფერი კაია, მარა იმასაც ვნახავთ, როცა ფრანგები მაგ დეგოლს ლომივით დაზელენ! მაშინ მგონია ვერც ტრუმენმა და ვეღარც ტურებმა უშველონ!

ხალხი იცინოდა. კირილე კი კვლავ უღვაშს იგრებდა, ჩაახველებდა და განაგრძობდა.

მზე ზღვაზე დაეშვა. წუთში ჩაიძირა. მოსაუბრენი ნელნელა წამოდგნენ, მცირე ჯგუფებად შინისაკენ წავიდ-წამოვიდნენ. კირილე ალაგესთან შეჩერდა, ყაბალახი გაშალა, თავზე ძაბრივით ჩამოიხურა და ჩიბუხი თამბაქოთი გასტენა.

— კირილე, იაპონიაზე რატომ არაფერი გვითხარა? — შეეკითხა სახეჩარგვალეული კოლმეურნე.

კირილე ალაგეზე ავიდა, ჩიბუხი გააბოლა, მიმოიხედა, შემდეგ უპასუხა:

— იაპონია, ძამიავ, ყიაში აქვთ გაჩხირული ამერიკის მავნე სულელებს, მარა ხომ იცი, კალანდის წინ მავნე სულელებზე ბევრი ლაპარაკი არაა მიღებული, სხუმის იყოს.

და გრძელი ჯოხის რაკარუკით ალაგედან მარდად ისკუპა და ციტრუსების ტყით დაბურვილ ოდა-სახლისაკენ ლიღინით გაემართა.

# მთვრალი კურდღელი

(მხალკოვიდან)

ეს დღეებზე იყო კურდღელი...  
 იხილავდა მთელ პურ-ველი,  
 იგი მანებდა კრიალ-კრიალი,  
 იღვწას წყაროში, მწვანე ტრიალი.  
 როგორ მიუხედა სურათს განცალი,  
 ეძებდა ზედოზედ კანონ დასკალი:  
 — სეო, ნუ გადავიყო მართო ვაშალი,  
 თორემ მავადებს ჩარღუნასო.  
 დასო მგონებდა ღვინო შისფერი,  
 მარტო თვითონე მიწვედა ცხერი,  
 დაზრა, მოსწონდა დროის გაბარება,  
 თქვა ცო-ცოლადღოში მინებარება—  
 ეს წამებდა—როგორ მინება,  
 შორადას როგორ ვინაა სახლის მიწება?  
 სად გაეპოცა ცოლი და შვილი,  
 აჲ, ლიგინა მწიფის განვილი.  
 საგროო... იყავ მოკრამღებულად,  
 ჩვენს ტეში ღვინო შობრამწვებულად.  
 — რაო, ღვინო—გაწერა ცანცალი—  
 ხედავ მიწვედა ეგ მარწვალა,  
 მეს დარწინა, ვინაა შვილია,  
 ვეს შენი ღვინო ვინაა შვილია,  
 ცხრა ტავის გავაძრობ კულის რკამდე  
 იყავ გაწვებ თვით ადრკამდე.  
 მეს უფოს შეხედეს თვის თანაწირს,  
 მე თორმეტს შევამ მაგისთანაო.  
 სქვინა ცანცალმ ხმა უცნაური  
 და ხალყს ვაგვავ აურზაური.  
 ხან შობს ადელს, ხან ზეგა ჩაბეგებს,  
 ხან მუხის ფეხებს დღეებებს.  
 — რაის ღვინა—მევირის ცანცალი—

## მთი დარი

ნახ. გ. თომშვილისა



— რამ დაგაღონა, კაცო?  
 — წელარ მკითხავ? ხალხმა სინდისი დასკარვა; ჩემზე საჩივრები შეუტანიათ: ნავთს  
 გაკალებო, „ხალტორით“ თთბი სახლი ააშენაო, თთბი პანინო შეიძინაო...  
 — ასე იცინა, ახა! ნახევიარ ტყუილი რომ არ სთქვან, არ შეიძლება, ჩემზედაც  
 ასე ამბობენ.

ნახ. ი. კოქაშვილისა



— ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე თითქოს „ნათელი პირფრენა“ სჩინდა და რატომ აღარ დასახელებს ახალ  
 არჩევნებში?  
 — ნათელი პირფრენა“ კი სჩინდა, მაგრამ ქალაქი ვერ უზრუნველყო სინაილით!

## ახალი ანდაზები

1. თავგება თხარა, თხარაო და კანდა-  
 ტრესტმა—როგორ ასე ჩქარაო?!
2. ქათმის ჭირი ფერში იზარებოდა და  
 ფერის გასქემ—შენ დავიციდილით?!
3. უპეილო მჭურდი ბაშუცი ეგონათ  
 და სხალგასრდას ემხდნენო.
4. მანდარინს ფასი დაეკლდა და ბასრის-  
 კენ მიგორავლიო.
5. ზენციფლინი ვის უსდებოდა და თითო-  
 ოროდა სუქებდაო.
6. შოკი არტყელის სანაინო მარტო თავ-  
 ჯღობარისთვის ქაუფებდაო.

შეკრება მინამ

## ვერ გაამართლა

## პრიკინა და კონკველი

(მხალკოვიდან)

ერთა პრიკინაზე წაფრული  
 სული სიმღერაში აბარა,  
 ხელი ხან ებრა ევირა,  
 ხან კი ენილა პატარა,  
 რა გინდა სული და გული,  
 სუფრის არ მქონდა ნადები;  
 კონკველით დილიდა  
 კალმაში, სუტის მწვადები.  
 შენოღვინაზე ტყის კურორტს  
 შლის სანაირა არჩია,  
 გახეხარს ოჯახი  
 მანქანით, შვიან დარშია,  
 იცო ღვინო და ქეფი,  
 არ შეწვევდალა მისხა,  
 მომღუნის მუცელა ნაწვევი,  
 როგორც მხა მივა მისხა.  
 ზამთრისთვის—შრომით და ვარჯიშით  
 მზადება მქონდა ყველახა,  
 როცა პრიკინა შვიდსპირად  
 შეხვდა ერთ კონკველასა,  
 მის მამემ გვარიო ეკა-  
 სილოდა ოფლის დეკაია—  
 როცა პრიკინა დაციწვით  
 გაუბა საუბარია:  
 — რა ძალია გადგას ისეთი,  
 ამდენ რომ წვადობ ბიძია?

წელ შობრამაგად მოხრილხარ,  
 ისეთი ტვინით გვირბი.  
 — რას იხამ, სარჩუნ ვამზადებ,  
 ზამთარი კარგე ვადიგობა.  
 შრომის დროს უკმა სიგდნა  
 ვის რაში გეყოფებ?  
 აჲ, შენ ჩემო, უკმა სინა!  
 მინდა შეგადრო ეცაკო:  
 რამ მდერო, ცხოვრებისთვის  
 ზარუნვა არ გინდა შე კაცო—  
 პრიკინამ გადხარხარა:  
 — არიო, სჩინარ გეყუობა,  
 არ იცო, ჩემგვარ კაცისთვის  
 საქმე ილიდად ეწყობა?  
 მე სარხო თავისით შობღის  
 და ელხინობ, როგორც ახლა ვარ!  
 — რატომ? რა კაცი ბრძანდები?  
 — საწყობის ვაშე ვაბოღვარ...  
 მანონ კინკველა სახლით  
 ეკლავ გზის გაუღვა მდუმარი,  
 და უფხარა—არა მჩივია,  
 რომ ვყოფ ქურდის სტუმარი,  
 დღეს თუ პრიკინებ სიამით,  
 ხვალ აგერევა დეფორი,  
 გნახავ—წაფრულში მომღერალს  
 როგორ გაცხეცებს ზამთარი.

თარსი

## ერთი ზომთაბანი

ნახ. ი. ბუტაშვილისა



— გეუწინ ლექტორმა ნუთარი გაგაცნო...  
 — ლამაზია?



# ყაბულა



ეროვნული  
ნიუსპიორთქა

ყაბულა—თათრული სიტყვაა და თანხმობას ნიშნავს.

თუქა ყველაფერზე დაყაბულება არ ვარგა, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი ფრიად ხათრიანია, ყველაფერზე ეთანხმება მოსაუბრეს, ტოლს, უფროსს, უმცროსს, მეზობელს, ამხანაგს, თანამგზავს და ყველას, ყველას.

ასეთი ხათრიანი კაცი არის ელევთერიც. მას მეტ სახელად „ყაბულას“ ეძახიან და ამ სახელს თვითონაც ხათრის გამო შეეჩვია კიდევც.

ყაბულა არასოდეს არავის არაფერს არ აწყენინებს, მომდურავი არავინ ჰყავს, წინააღმდეგობა არ იღის, ყველაფერზე ყაბულსაა. ამიტომაც, რომ მისი მაგინებელი არავინაა, თუმცა არც მისი მაქებარი შემხვედრია.

ყაბულას რაიმე ძირითადი პროუესია არა აქვს. მის თავს სამეურნეო მუშაკი შეარქვა და მსახურობს ხან სად და ხან სად, უმთავრესად სამეურნეო შემოსავლიან ადგილებზე.

ყაბულა 40 წლის კაცია, შეხედულობით შუა ტანის, ჩია, მოქვიფე, მოცეკვავე და მომღერალი.

— ყაბულა! იცი რა ოჯახი ჰქონია კირილეს?— შორიდან შესძახა ძველმა მეგობარმა.

— ვიცი? ერთჯერ ვარ მისას ნამყოფი თუ ორჯერ? (სინამდვილეში კი ყაბულას კირილეს კარიც არ უნახავს).

— მერე და რა პატივი მცა რომ იცოდე, სუფრა გაშალა ისეთი, რომ ჩიტის რძე არ აკლდა. ვსვით და ვსვით ეს რქაწითელი, ნაფარეული, ქინძმარაული, ცოლიკაური და რა ვიცი კიდევ რა ღვინოები არ ჰქონდა. გოჭებს და ინდაურებს ნულარ იკითხავ... იშვიათია ასეთი პატივისცემა. დიდი პურმარილიანი ვაჟკაცი ყოფილა კირილე.

— კირილეს პურმარილი ცნობილია, მაგის პურ-ღვინო და ვაჟკაცობა განთქმულია.—დაემოწმა ყაბულა ამხანაგს.

ორიოდე დღის შემდეგ მეორე ამხანაგი გერონტი შეხვდა. ძალიან ნაწყენი იყო გერონტი კირილესზე.

— რა კაცი ყოფილა ეგ კირილე? სამსახურში ვთხოვე მიღება და არ მიმიღო. არა მაქვსო თქვა, ისე კი ჰქონდა—ნამდვილად ვიცი. ვიფიქრე სახლში მივალ, იქ მეტი დრო ექნება და უფრო თავისუფლად მოველაპარაკებო მეთქი. მივედი, ცხვირი ზევით ასწია, ცივი უარით გამომისტუმრა, მგონი ეწყინა კიდევც სახლში ჩემი მისვლა. სწორედ სადილობის დრო იყო და ერთი არ შემეპატივა დაიცადეო.

— მართლა კაცო?  
— მართლა მაშ! დიდი უამხანაგო, ცხვირაწეული ყოყოჩა და უპურმარილო ყოფილა ეგ კირილე.

— კირილეს ვაჟკაცობა ვის უთქვამს? მაგის პურ-მარილი სად გაგონილა? ქვეყანამ იცის, რომ მაგის სუფრა დამწვარია.—დაემოწმა გერონტის გულსწყრომას ყაბულა.

ყაბულა ზოგჯერ შორეულ ნაცნობს შეხედება და ზრდილობისათვის, ყასილად მოიკითხავს მისი ოჯახის ჯანმრთელობას, თუმცა არც იცნობს ამ შორეული ნაცნობის ცოლშვილს და არც მარცვდამაინც აინტერესებს მათი ჯანმრთელობა. მაგრამ რა ენაღვლება? იმ კაცის გულს კი მოიგებს ამით და მეტიც ყაბულას არაფერი უნდა.

— ისე ცოლშვილში კარგად ბრძანდებით, არა? — დინჯად მიმართავს ყაბულა, უღვაშებზე ხელს გადაისვამს და ტკბილ საუბარს გააგრძელებს.

ყაბულას ყველა სამსახურში ანგარიშინად უჭირავს თავი. იგი დიდ პატივს სცემდა იმ არტელის დირექტორს, რომელთანაც იგი მომმარაგებლად მუშაობდა. ამ პატივისცემას თავისი მიზეზი და გამართლება ჰქონდა. რა გაეწყობა, ზოგიერთ არტელის დირექტორსა და მომმარაგებელს შორის არის ასეთი ურთიერთ მტკიცე გაგება და პატივისცემა.

ამ არტელის დირექტორს მადლიერი და უმადური თანამშრომლები აქებდნენ, ან აძაგებდნენ. ყაბულა მისი უფროსის ქებასაც უჭერდა მხარს და ძაგებდაც. ამიტომ ძნელი იყო მისი საკუთარი აზრის გაგება. ერთის შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ყაბულას თითქმის არც კი ჰქონდა თავისი საკუთარი შეხედულება მის უფროსზე, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ყაბულა საკუთარი არშინით ზომავდა; უფროსის შეფასებისას ყოველთვის მის საკუთარ ინტერესებს იცავდა.

ერთხელ საწარმოო თათბირზე ყაბულა კამათში გამოვიდა და, რა თქმა უნდა, ყველაფერში დაეთანხმა დირექტორს და სიტყვა შემდეგნაირად დაამთავრა.

— ჩვენმა წარმოებამ უკანასკნელ კვარტალში მართალია გეგმა ვერ შეასრულა, მაგრამ ამას ხომ ობიექტური გასამართლებელი მიზეზები ჰქონდა? ეს მიზეზები თქვენ მშვენიერად და ბრწყინვალედ დაგიხასიათათ ჩვენმა დირექტორმა. მანვე დასახა გეგმა მომავალი მუშაობისა. ჩვენ ერთი დაგვრჩენია სათქმელი: შევეფიცოთ ჩვენს ხელმძღვანელს, რომ დღე და ღამე ვიბრძოლებთ მის მიერ დასახულ გეგმების შესასრულებლად. გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ ჩვენი დირექტორის კარგი ხელმძღვანელობით ჩვენ კვლავ გავიმარჯვებთ.

კამათში გამოსულმა სხვა ამხანაგებმა ძლიერ გააკრიტიკეს, პირდაპირ მიწასთან გაასწორეს დირექტორის უხვირო მუშაობა. ყაბულა მიხვდა, რომ მისი სანახევროდ ნაქები დირექტორის საქმე ვერ იყო მაინცდამაინც კარგად.

— ძალიან არ გააძრეს ტყავი შენს ნაქებ დირექტორს?—გესლიანად შენიშნა კულტმუშაკმა.

— ყველაფერი მართალი უთხრეს, გითხრა სიმართლე.—იყო პასუხი.

— მაგას ხელმძღვანელობა არ შეუძლია, დაბნეული კაცია, გეგმიანობა არა აქვს, თანაც ტლანქია თანამშრომლებისადმი. ეს წარმოება არც ისე პატარაა, აქ საჭიროა მეტი კვლევა და გამოცდილი კაცი.—დასძინა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა.

— მართალია, მართალი. ამოდენა საქმეს კი არა, მაგას ორ ბატს არ მიბარებებს კაცი.—დაეთანხმა ყაბულა.

სულ მალე არტელის წარმოებას უყვე ახალი დირექტორი და ახალი მომმარაგებელი ჰყავდა.

ყაბულამ ახალი სამსახურის ძებნა დაიწყო და ერთ მის შორეულ ნაცნობს მიმართა. ნაცნობმა პირველად იმედის ნაპერწკლიანი უარი უთხრა. ყაბულამ ამ იმედის ნაპერწკლისათვის დიდი მადლობა გადაუხადა და ორი დღის შემდეგ კვლავ მიმართა, კვლავ იმედნარევი ზრდილობიანი უარი მიიღო; ყაბულამ გაორმაგებული მადლობა მოახსენა.



— შენ თუ არაფერი შეგხვდება და ჩემი ცოლშვილის მადლს მოიკიდებ და დამნიშნავ სადნე ხეირიან ადგილზე, დიდ მადლს იხამ. მე ვიცი ახლა ბევრი გაწუხებს, მტერიც ბევრი გეყოლება, ვიცი ძალიან ძნელია, მარა მიქენი სიკეთე და გასახელებ.

— ახლა თავისუფალი ადგილი არა გვაქვს, ცოცხალ კაცს ვერ მოვხსნი დანაშაულობა თუ არა აქვს. ისე თუ ვინმემ რაიმე დააშავა, თუ ეს მე გავიგე, თუ ეს დანაშაულობა დავუმტკიცეთ, თუ მოვხსენით, თუ იმ დროს მე მივლინებაში არ ვიქნე, ან თუ მუშაობა გაძლიერდა, ან თუ მოკვდა ვინმე, მაშინ გიშოვი სამსახურს. უთუოდ გიშოვი, თუ ამ საქმეს რაიმე სერიოზული დაბრკოლება არ შეხვდა. —აიმედებდა, როგორც იტყვიან, ცალი ყბით ყაბულას.

— თუ ამდენს დამავალბ დიდი, დიდი მადლობელი დავრჩები. ახლაც დიდი მადლობელი ვარ, რადგან ასე მონდომებულ ხარ, ვიცი გამიკეთებ მაგ საქმეს და წინასწარ დიდათ დიდი მადლობელი ვარ.—ეუბნებოდა ყაბულა.

ყაბულას სამსახურის შოვნა ცოტა დაუგვიანდა. ხეირიან ადგილს ეძებდა და ამაში იყო საქმე. ეს ხეირიანი სამსახური ყაბულას თავისებურად ესმოდა.

...და იარა მანამ სანამ ეს ხეირიანი სამსახური არ ჩაიგდო ხელში.


ყაბულა საპატივცემულო კაცს რომ შეხვდება—ორივე ხელს ჩამოართმევს, სიყვარულით მოიკითხავს, ხოლო თვითონ დაარწმუნებს, რომ მისი წყალობით „ცხოვრობს, არაუშავს ისე“.

ყაბულა ხანდახან ტყუილებსაც კი მოიშველიებს, როცა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გარემოება მოითხოვს“.

მისი ასეთი თვისებების გამო ყაბულას ყველა იცნობს, იგი იქნებ თქვენს ახლოც ტრიალებდეს ჩემო მკითხველო, იგი ღვედვიით მოქნილი, თაფლივით ტკბილი და ისე მოხერხებული კაცია, რომ ნემსის ყუნწში გაძვრება.

## კომანდანგის გასაჭირი

ნახ. ღონისა



— მდგმურებო, შემოიტანეთ ბინის ქირა, თორემ ხომ ხედავთ, თქვენამდე მოხვლის თავი მე არა მაქვს!

ნამდვილი ფასი

ერთხელ ცნობილი ინგლისელი პოეტი ბერნსი სახაპიროზე, სეირნობდა. მან დაინახა, რომ მოაჭირიდან უცაბედად წყარში გადავარდა ღონღონელი მდიდარი, რომელიც ძუნწობით განთქმული იყო. გადავარდნილს ცურვა არ შეეძლო და უთუოდ დაიხრჩობოდა, რომ ის მეზღვაურს არ გადაერჩინა.

ძუნწმა მდიდარმა, როცა ის გონს მოვიდა, გადამჩინეს ერთი შიღინგი გაუწოდა. მისმა საქციელმა აღშფოთება გამოიწვია თავმოყრილ ხალხში.

— დამშვიდდით მოქადაქენო, — მიმართა მათ ბერნსმა, — გადარჩენილმა უკეთ იცის თავისი სიცოცხლის ნამდვილი ფასი.

განსაკუთრებული ყურადღება

ერთხელ მწერალი მიდტონი თავის ცოლთან ერთად სტუმრად იყო მეგობრის ოჯახში. სადილობის დროს იგი შეეკითხა ცოლს — ორჯოლი ქარი ხომ არ უბერავს მაგ ფანჯარასთან, სადაც შენ ზიხარო?

ქმრის განსაკუთრებული ყურადღებით მოხიბლულმა ცოლმა ტკბილად მიუგო:

— არა, ძვირფასო, სრულებითაც არ იგრძნობა აქ ორჯოლი ქარი.

— მაშ ადგილები შევცვალათ, აქ ისე საძაგდად უბერავს რომ უკვე სურდო შემხვდა.

ო. რანი — ყველას წინააღმდეგ

ერთხელ ბერნარდ შოუ ესწრებოდა თავისი პიესის პრემიერას. წარმოდგენის დამთავრებისას იგი დაუსრულებელი ტაშით გამოიხმეს. როცა შოუ სცენაზე გამოჩნდა, ერთ-ერთმა მაყურებელმა უსტავინა ავტორს. შოუ მიბრუნდა იქით, საიდანაც სტვენა შეესმა და ღიმილით უთხრა:

— ჭენტდემნო, პიესის შეფასებაში სავსებით გეთანხმებით, მაგრამ მე და თქვენ რას გავანწყობთ ამდენი ხალხის აზრის წინაშე?

კოლიუზიის მისაჩირი

მას შემდეგ, რაც ტრუმენმა მიმართა ამერიკელ ხალხს მოწოდებით: „ნაკლები ჭამეთ!“ — ო, კოლიუზიის მესვეურებმა გადასწყვიტეს პატრიოტიზმის მაგალითის ჩვენება.

ეს პატრიოტული „მსხვერპლი“ შემდეგში გამოიხატა: სურათების გადაღებისას, ისეთ ეპიზოდში, სადაც სუფრა უნდა იყოს ნაჩვენები, ნამდვილი სანოვავის მაგივრად შემოიღეს ბუტაფორიის გადაღება, ისეთი ეპიზოდების გამოკლებით, რომლებშიც ქაშის პროცესის ჩვენება აუცილებელი.

პრაქტიკამ გამოარკვია, რომ ქალაქის ინდაურები და პლასტმასის ვაშლებიც საკმაოდ ძვირი უჯდებოდა კინოსტუდიებს.

კოლიუზიის მესვეურებმა ამის შემდეგ სცენარისტებს კატეგორიული პირობა დაუდეს, რათა ამერიკიდან სცენარში არ იქნეს შეტანილი ქაშის ეპიზოდები.

„ბატრიოტი“ ღაპუსანი

საფრანგეთის პარლამენტში იდგა საკითხი ფულადი სახსრების გამოყოფის შესახებ მინისტრთა პირადი სარგებლობისათვის ავტომატური შესაძენად და შესანახავად.

ერთ-ერთმა დეპუტატმა პინომ განაცხადა, რომ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ამერიკული მანქანების შექმნაზე, ვინაიდან საფრანგეთის საავტომობილო მრეწველობა ვერ უშვებს ისეთ მანქანებს, რომელთა სარგებლობითაც ფრანგი მინისტრები „არ დაამცირებენ თავიანთ თანამდებობრივ ღირსებასა და ავტორიტეტს“.

გაიმოსილუბის გაზიარება

ბრიტანეთის რადიომაუწყებელმა კომპანიამ 1947 წლის შემოდგომაზე არაჩვეულებრივ გადაცემათა სერია მოაწყო.

მიკროფონთან გამოდიოდნენ დეზერტირები, სპეკულანტები, ქურდები და კაცის მკვლელები და მოუთხრობდნენ თავიანთი „ხელობის ტექნიკაზე“.



— რა გნებავთ?

— შეორეს ველოდებით...

— შეორეს? მე ჩემი კლიენტი მეგონეთ... ბიჭო, შალიკო, შენ ველოდებიან!...

გილბერტ კიტ ჩესტერტონი \*)

ადგია სოფლის სასაუბროზე

ვინც ინგლისისთვის შრომით ოფელს ღვრიდა,  
უკანასკნელი ბინა აქ კპოვა,  
მშობელ მხარეში აქ სძინავთ მშვიდად  
და მათ უგალობს ფრინველთა გროვა.  
მაგრამ მეტროპოლებს, დამპყრობლებს ზღვისა,  
რომელთაც ინგლისს შესწირეს თავი, —  
საუბედუროდ ინგლისისთვისა,  
ძალიან შორს ხედათ სამარე შავი.  
ამჟამად ინგლისს ვინც მეთაურობს,  
სუსტი ძალ-ღონით მას მართავს თარსად, —  
ვაგლახ! ინგლისის საუბედუროდ,  
მათთვის საფლავი ჯერ არ ჩანს არსად.

თარგ. გრიგოლ ცეცხლაძისა


\*) გილბერტ კიტ ჩესტერტონი (1871—1936) ინგლისელი გამოჩენილი მწერალია. ჯერ კიდევ ინგლისის ბურჟუაზიის ომის დროს ის გამოვიდა როგორც ბრიტანეთის იმპერიალიზმის მოწინააღმდეგე „დემოკრატი-ხალხისანი“. იგი არის ავტორი ბევრი „ზხამიანი სატრეების, რომელთაც ციკლს ეკუთვნის „ელფგია სოფლის სასაფლაოზე“.

მთარგ.

ნახ. დონისა




1. ნიკიფორე სახელმწიფო სახლს აშენებდა.



2. სახელმწიფო სახლის მასალით თავისთვის ორსართულიანი სახლი წამოვიშა.



3. — ნიკიფორე, ეს სახლი საიდანღა გაჩნდა?  
— დიდმა სახლმა შობა!



4. ნიკიფორე სხვა სახლში გადაიყვანეს.



5. — აქ რატომ ვაღმომიყვანეთ? — იკითხა ნიკიფორემ. — ჩემი სახლი არ ჯობდა?  
— თქვენი სახლი გარდაცვალა!



6. — ვა, სახლის გარდაცვალება როგორ შეიძლება!  
— სახლს თუ მეორე სახლის შობა შეეძლო, გარდაცვალება რატომ არ შეეძლებოდაო, — უპასუხეს ნიკიფორეს...



— გაიგე, ხრამპესი ენერგიას ზაფხულში აგროვებს და ზამთარში ხარჯავს?  
— შენ არა გგვანებია, ჩემო ძმაო, ზამთარში რომ აგროვებ და ზაფხულში ხარჯავ.

### საკიოზუდარ სუკიოზუდი

ქართულ მართლწერას რომ ბევრი გულშემატივარი ჰყავს—ეს უდავოა. ამ შემთხვევაში სპეციალისტ ენათმეცნიერებს არ ვგულისხმობთ, ლაპარაკია „დამხმარე გრამატიკოსებზე“, რომელნიც „სიკეთეს უწევენ“ ქართულ ენას მართო პირად წერილებში კი არა... გრამატიკული ნორმების საჯარო გამოფენას აწყობენ შესანიშნავად გაფორმებულ აბრეშუბზე თუ ეტიკეტებზე.

ათასობით მაგალითიდან, თუნდაც ერთი დავასახელოთ: ვსთქვათ, ქუთაისში თამბაქოს ყიდულობთ, თვალში გეცემათ არტელ „ფართო მოხმარებას“ მიერ გამოშვებულ თამბაქოს კოლოფებზე ფართოდ გაკიშული წარწერა:

#### სალიდნი

მოდით და დაარწმუნეთ მისი დამწერი, რომ ეს სიტყვა ქართული წარმოშობისა არ არის, და არც ასე იწერება. მაგრამ განა ეს უფლებას იძლევა, რომ ამ წარწერის გავრცელებისათვის დასტურის მიმცემისაგან მაინც ცოტაოდენი სოლიდური დამოკიდებულება არ მოვითხოვოთ სიტყვის სისწორით თარგმანისა და მართლწერისადმი დამოკიდებულების საკითხში?

#### პარაკეი და თარგმანი

ქუთაისშივე—ჯაჭვის ხილთან სამხერხაოს ამშვენებს დიდი და კოხტა აბრა, რომელიც ოქროსვარაყიანი მსხვილი ასოებით მოგვითხრობს:

#### „მრეწველობის სასტალიარო სახელოსნო“

ალბათ განსაკუთრებით ცდილან მრეწველობინატის გრამატიკოსები, რომ „სასტალიაროს“ არსებობის შესახებ მხოლოდ თვალის-

მომპრელი აბრა გამოეფინათ, მაგრამ გვეგონია, ჭარბი ვარაყით მაინც ვერ მიუღწევიათ მიზნისათვის, მათი „ტკბილქართული“ ყურს უფრო მეტად სჭრის.

#### ენის მღკაცობა

მაგრამ ენის ღრძობის კლასიკურ ნიმუშად მაინც ქვემოთ მოყვანილი ნიმუში მიგვაჩნია: გორელ ბუღალტერს, (რომელიც თავის მისამართს გვამცნობს, ვინაობას კი არა), განუზრახავს თავი დიდ კაცად მოგვაჩვენოს. რადგან დიდი კაცობის პირველ ატრიბუტად ბლოკნოტი მიუჩნევია, აღჭურვილა კიდეც ასეთი ატრიბუტით:

კარგად გაფორმებულ სასტამბო ბლანკზე მას გაუბრტყელებია თავისი ტიტული, რომლის რუსული თარგმანი პირდაპირ ექიშება ერმოლოვის დროინდელ თბილისელ თარგმანების „კლასიკურ“ თარგმანს: „გასაპნულო ქალბატონო, ჩვენთან რატომ ასე გამოლოკებული მოდიხარ?“

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბ. ხ. ბ. რ.

მზრ. დი. გორის ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების მუშაკი

Бухгалтер отдела горского хозяйства депутатов трудящихся

ქ. გორი ლენინის ქ. № 17—რ. გორი ულ. ლენინისა № 17

194 წ.

### ხიდი და აბანო

— კაცმა რომ თავის ვადასავალი იცოდეს, შინიდან არ გამოვო, — მითხრა მეგობარმა და დიდუბის ხიდის კიბეებს ავეყევით. მივდივართ აბანოსაკენ. როცა ჩასასვლელ საფეხურებს ჩაკუდქვით, უცბათ თითქო მიწა გასკდა, თვალთ დამიბნელდა და შურდულივით ძირს ჩავეშვი.

— მიშველეთ, კაცი გაქრა... — გაისმა სიბნელეში ჩემი მეგობრის ყვირილი.

დიდი ძებნის შემდეგ ხიდის ძირში აღმონაჩინეს.

— წინა კაცი უკანა კაცის ხილია! — გაიღრიჯა ვიღაც მოქალაქემ და მორიდებით აპყვა ხიდის ჩამტვრეულ საფეხურებს.

აღნიშნულ ხიდიდან ოც ნაბიჯზე მდებარე აბანოში შემეყვანეს, ცივი წყალი დამასხეს და სულიც მოვიტყვი. გავიფიქრე: რაც მოხდა აბანოში, ახლა კარგად დავიხან, დავისვენებ და სახლში ისე წავალ ამ ხილზე არ გადავალ, შორი გზით მოვივლი და შინ მშვიდობით მივალთქო.

ცხელი წყალი უცებ ცივმა შესცვალა. კბილებს ერთმანეთს ვაცემინებ, ვკანკალებ.

— გავი ყ... ყინე... ე... — დაიყვირა ერთმა.

— თბილი წყალი ჩქარა, თორემ გავთავდი... — იძახის მეორე.

— რა მოგივლიდათ! მოიცათ ცოტახანს, ამ წუთს გამოვარკვიე, რომ ნახშირი არა გვექონია, მოვაციცილებთ და წყალიც გათბება... აბანოა, ხან ასე იქნება, ხან ისე... — სთქვა დინჯად და კარი მიიხურა. როგორც შემდეგ გავიგე, ეს თურმე გამგის ხმა იყო.

ასე იყო თუ ისე, გადავრჩი ხილსაც და აბანოსაც. ნეტავ ხიდისა და აბანოს შესვეურებიც გადაურჩებიან ამგვარ მდგომარეობას?

ა. პ. გოცირიძე

# ბართები ნიანგს!



## ძაო ნიანგო!

იქნებ შენს კადრებში გეგულება ერთი კვალიფიციური ბუღალტერი, რომელსაც შეეძლება სწორი აღრიცხვა და ზუსტი ბალანსის გამოყვანა?

ასეთი ბუღალტერ-აღმრიცხველი უნდა მოაგვლინო ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის მცხოვრებ შალვა ხაჭაპურიძესთან, სადაც მიიღებს სააკორდო სამუშაოს. სამუშაო იქნება შემდეგი ხასიათისა: საბჭოს თავმჯდომარეობის დროს შალვას სახლში წამოყვანილი ჰყავდა პირად სარგებლობაში კოლმეურნეობის იორლა ცხენი. ამ ცხენით შალვა „დაქვივებდა“ აღმა-დაღმა და გარდი-გარდმო. ამ სიამოვნების „ასანაზღაურებლად“, შალვას აზრად მოუვიდა დაევალებინა კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის რომ... მან (თავმჯდომარემ) ცხენის მოვლისათვის შრომადღებები დაუწეროს მის (შალვა ხაჭაპურიძის) მეუღლეს.

ითქვა—გაკეთდა.

ახლა საჭიროა ზუსტად აღრიცხვა და გამოანგარიშება იმ შრომადღებთა, რაც ხაჭაპურიძის ცოლს ეკუთვნის, — ხაჭაპურიძის სეირნობისათვის.

დაგვეთანხმე ძაო ნიანგო, რომ ასეთ რთულ ბალანსს შენს მიერ გამოგზავნილი ბუღალტრის მეტი ვერაფერ გამოიყვანს.

## ბ. ნატალიძე

## საყვარელო ნიანგო!



სულითა და გულით მეწადა ახალი წელი მომელოცა შენთვის. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს ვინატრე—ნეტავი ავთანდილივით „მტრედის ფოსტა“ არსებობდეს ხაშურში, რომ შენთან მოწერილი წიგნი მტრედისთვის „გამომემა მხარადა“, მაგრამ როგორც გამოირკვა ხაშურში ასეთი მტრედები არა გვყავს.

აღბათ იკითხავ—რა საჭიროა მტრედების ფოსტა, როცა ხაშურს თავისი ნამდვილი და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფოსტა აქვს?

მიზეზიც სწორედ აქ არის: 30 და 31 დეკემბერს ზედიზედ მივედი ჩვენს ფოსტაში, გავუწოდე შენთან გამოსაგზავნი დაზღვეული წერილი, მაგრამ განყოფილების სარკმლიდან ჩვენი ფოსტის მტრედის ცივი ხმა მომესმა:

- წერილებს არ ვღებულობთ!
- რატომ?
- იმიტომ, რომ მარკები არა გვაქვს.
- რა დაგემაართათ, მარკები ველარ მოიძარავეთ?
- ჭკუას ნუ გვარივებთ. იმიტომ ვერ მოვიძარავეთ, რომ ახალი წლიდან ახალი მარკები გვექნება.—ვიცადე ახალ წლამდე. პირველ იანვარს გოზინაყის პირველი ნაჭერი გიახელი და კვლავ ფოსტაში გვახელი.
- ვერ მივიღებთ, ახალ მარკებს ველით.
- სწორე გითხრა მოთმინება აღარ მეყო და ეს წერილი თბილისისკენ მომავალ მეგობარს გამოვატანე.
- აღბათ დროზე მიიღებ, საყვარელო ნიანგო. ხაშურელები იმედს არ ვკარგავთ, აღბათ ახალი წელი ახალ მარკებს მოგვიტანს, მაშინ ნამდვილი ფოსტით გამოგვიგზავნით წერილებს.

## ხაშურელი

## ჰვირვასო ნიანგო!



თქვენი ჟურნალის უკანასკნელი ნომრის წასაკითხად ოჩამჩირის რაიბბლიოთეკაში შევიარე. ის-ის იყო ჟურნალი ავღე და მაგიდას მივუჯექი, რომ ბიბლიოთეკის გამგე ლენა დიაკონიდი ცოცხით დაგვადგა თავს.

— ადექით, ბიბლიოთეკა უნდა დაგვაგო, — მრისხანედ გვიბრძანა მან.

— თქვენ უნდა დაგავოთ? დამლაგებელი სადღაა?

— ძალიან კანდიერდებით მოქალაქევ, როცა დედაჩემის საქმეში ერევი.

— დედათქვენი რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ გაბრძანდით გარეთ და ხელს ნუ გვიშლით!

ამ სიტყვებზე ლენამ ცოცხი მიუსგ-მოუსვა და ისეთი მტვერი დააყენა, რომ იძულებული გავხდი დამეტოვებინა ბიბლიოთეკა. მიზეზი მაშინ გავიგე, როცა გარეთ გამოვედი: თურმე ნუ იტყვი, დიაკონიდის თავისი 85 წლის მოხუცი დედა ბიბლიოთეკის დამლაგებლად „გაუტარებია“ შტატში. მოხუცი, რასაკვირველია, ვერ მუშაობს, ლენა კი—ბიბლიოთეკას ამტვერებს და მის ხელფასს „ითავსებს“.


ძაო ნიანგო! ეს არის მიზეზი, რომ შენგან გამოგზავნილ ჟურნალებს ბიბლიოთეკაში მუდამ ვერ ვკითხულობთ. ნუ დაგვემდურები.

## რიცელი

## მაცნეობა და ტექნიკა

## ახალი საღესაჰი

საოჯახო საჭრელი ნივთების გაღესვა ყოველთვის საყურადღებო პრობლემას წარმოადგენდა ჩვენი მკითხველებისათვის. განსაკუთრებით ძნელი გადასაწყვეტია საპარსი სამართებლის გაღესვის საკითხი, რადგან საამისო საღესავის გამოშვებისათვის ამჟამად თავს არაფერ იწუხებს. ამ საქმეში რამდენადმე უნდა ვუმადლოთ „საქეპრობის“ რკინეულობის მალაზიებს, რომელთაც ამ რამდენიმე წლის წინათ, რამდენიმე თვის განმავლობაში მოგვხიზღეს ერთგვარი შავი



საღესავებით. რომელთაგან ოცში ერთი თუ ვარგოდა თავისი დანიზნულებისათვის. ვინაიდან შარშანწინ დაკრულ მუსიკაზე, როგორც აღნიშნული მალაზიების მუშაკებსაც მოეხსენებათ, წელს ცეკვა რამდენადმე შეუძლებელია, საღესავი რომ რომელიმე სხვა ნივთით შეცვლილიყო, ჩემს მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული რამდენიმე ცდა და უკანასკნელმა, რომელსაც აქვე მოგახსენებთ, საუკეთესო შედეგი გამოიღო.

შევივლით ინკოპკავშირის რომელიმე მალაზიაში და იყიდით ამავე ინკოპკავშირის მიერ გამოშვებულ შეიღებულ წითელ ხელის საპონს. (სურ. 1). ამ საპონს სახელად ეწოდება „ლანდიში“ და თავისი სიმკვრივით არ ჩამოუვარდება სტამბოლის კაქს. გაშლით სამართებელს, წინ დაიდებთ ამ საპონს, ზედ დაასხამთ წყალს და დაიწყებთ სამართებლის აღესვას (სურ. 2). საპნად წოდებული ქვა წყალს მანამ არ შეიშრობს, ვიდრე ეს უკანასკნელი არ აოროტდება. მაგრამ ამდენხანს ლესვა საჭირო არ არის. სამართებელი ორ წუთში საუკეთესოდ მოიპირება და შევიძლიათ წვერი მოიპარსოთ. ასაქაფებლად აღნიშნული „საპონი“ არამც და არამც არ იხმაროთ, თორემ რამდენიმე საათის შრომა ტყუილად ჩავივლით.




მეცნიერების დაუმსახურებელი მოღვაწე გია

## ნიკორა და ბორბლები

მახარაძის რაიონის სოფ. ლიხაურის ხიდი იმდენად დაზიანებულია, რომ ზედ მანქანების და ურემების სისტემატური ავარია ხდება.

ნახ. ლალისა



— კიდევ კარგი, ჩემს ნიკორას ბორბლები არა აქვს, თორემ იმ მანქანასავით საღამომდის ვერ ამოვიყვანდი.



ერთმა მისიონერმა მოახსენა თავის საზოგადოებრივ მოქმედებაში  
— ჩემის ქაღალდებით 10.000 კაცი მოვაქროს ტიპოგრაფიაში, უკლებლად  
ბურს კუნძულზე, სადაც ჯერ ადამიანს ფეხი არ დაუდგამსო.

— თქვენ გნებავთ, თქვენს ქმარს გაეყაროთ, მაგრამ მიზეზი  
უნდა დაგვისახელოთ,— ეუბნებიან სასამართლოში ერთ მანდილოსანს.

— მიზეზი ის გახლავთ, რომ მეტის-მეტად სულელია.

— ეგ თქვენ მაშინ უნდა გეფიქრათ, როცა მისთხოვდით თქვენს  
ქმარს.

— მე მაშინ სრულებით ვერას ვატყობდი.

— სტყუის, მაგან მაშინვე იცოდა ჩემი ამბავი,— სთქვა გაჯავრებული  
ქმარმა.

იმ დროს, როცა ინგლისში მკურნალნი განსხვავებულ ტიპის  
ხმარობდნენ, რითაც ისინი სხვა მოხელეთაგან განიჭვირებოდნენ,  
მკურნალი მივიდა საშინელს დარში მდინარე ტენასთან  
მეთევზეს:

— შეგიძლია უხიფათოდ გადამიყვანო გრინი?

— რატომაც არა.

— ეგ კი, მაგრამ, თქვენ საერთოდ მკურნალი ვერ  
ფულს გვართმევთ— აბაზს კაცის თავზე.

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ბ-ნ მკურნალი, როგორ  
მეტად ნაკლებს ვიღებთ მკურნალებს არავის არ გადაიყვანენ ამ ქვეყნიდან  
გადაახდევინესო.

ამერიკელები თუ მოიპოვებენ არაჩვეულებრივს. ტყუილ  
გალითად, ერთი ამერიკელი ტკივილისათვის ის  
ხანს აქნით თავი და კბილის



— ჩვენი ვანო გაზაფხულზე უმაღლეს სასწავლებელს  
ამთავრებს...

— მერე, ახლავე რამ ააფორიაქა, სახელმწიფო  
მოსწავლისთვის ემზადება?

— არა, პროტექციას დაეძინებს, რომ სწავლადამთავრებული  
რაიონში არ გაგზავნიან...

### ჩ ვ ე ნ ი

#### სამართალი

შურას: მეტად მუქი საღებავებით აგვიწვრთ ნინი  
ჩაზე დანგრეული ხიდის ამბავს. თქვენი ლექსი აღნიშნავს  
მცხოვრებთაღმე თანაგრძობითა და სამტრედის კომპრომიზების  
მიმართ გულისწყრომითა და ციხის კი აგვავსებდა  
ცა მივალწიეთ იმ ადგილს, სადაც სკანდინავიურთ:

„...ლამით მოდის კაცი  
და მთვრალია ღვინისგან,  
ხიდეს როცა მოაღწევს  
მომხიზლდება (!) შიშისგან“.

რას უმდღურით მაგ თქვენს კომპანს? მართალია, ხალხს ხიდზე  
სიარულს უძნელებს, მაგრამ როგორც ხედავთ, თურმე ლოთობას  
ეგრძელებს. ისე რომ კომპანის უყურადღებობა მთლად უსარგებლოდ  
არ უნდა მიიჩნიოთ.

#### ახალციხე

ლადიშელს: გვხიზლავს თქვენი გულითადი მოპატიჟება ახალ-  
ციხეში, სადაც საჭირო ყოფილა, „რომ ჩანგალზე წამოვავოთ საკ-  
ბილონი ბარე ათი“. ყოველმხრივ ვეცდებით გესტუმროთ კიდევ,  
„ახალციხელ საკბილოთა“ კბილის გამოსახჩხრეკად, მაგრამ ერთ პი-  
რობაზე ამთავიდანვე უარს გიცხადებთ:

„ნაინგო, როცა ჩამოხვალ  
ორ კილომეტრზე წავიყვანო,  
სადაც ქალაქის ბაზარი  
გვაქვს, შიგ ტალახში შევიყვანო,  
რომ ჩაეფლო და დარწმუნდე  
ბაზარკომის ჭკვალზე მოყვანას...“

ჩვენი რჩევაა თვითონ თქვენი ბაზრის კომიტეტის თავმჯდომარეს  
და მასთან კომპანის ზოგიერთ წევრს შეასრულებინოთ ეს რო-  
ლი. გარწმუნებთ, თვითონვე მოვლენ ჭკუაზე და ბაზრის კეთილმოწყობაზეც  
იზრუნებენ.



როგორც ქორმა  
და პიონერთ მაგივრობა  
თვით გასწია ღირქტორმა“.

როგორც ვფიქრობთ, საქმე ასე უნდა იყოს: სკოლაში პიონერ-  
თათვის გამოყოფილი ოთახი ღირქტორს საცხოვრებელ ბინად და-  
უტკავებია. ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ შესაძლებელია მართა-  
ლი იყოს, ხოლო იმას კი ვერ დავიჯერებთ, თითქოს თქვენს ღირქ-  
ტორს პიონერთა „მაგივრობა“ გაეწიოს. ეს რომ მართალი იყოს,  
მაშინ ხომ ისიც თქვენსავით პიონერი იქნებოდა და ოთახს აღარ შე-  
გეცილებოდათ?

#### გულაუთი

ი. ქარჩავას: გულაუთის რაიკავშირგამშრომლობას უსაყვედურებთ:  
„ხშირად მთელი დღის განმავლობაში დაწესებულებებთან და  
რაიონის სოფლებთან სატელეფონო კავშირი არ არის, რადგან რაი-  
კანტორის უფროსი ხორავა თავს არ იწუხებს უზრუნველყოფის აპა-  
რატების შეკეთება და ხაზის დაცვა“.

ამასთან მოგყავთ რაიკანტორის დაუდევრობის კონკრეტული  
მაგალითები და გულუბრყვილოდ გვეკითხებით:

„რა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენი ტელეფონები კარგად არ  
მუშაობენ?“

ჩვენის აზრით, პასუხი თქვენს კორესპონდენტიაშივეა: ამისი  
მიზეზი ის ყოფილა, რომ თქვენი რაიკანტორა და მისი უფროსი  
ხორავა ცუდად მუშაობენ. ცუდი მუშაობისთვის კი, როგორც მო-  
გესხენებთ, კაცს თვალეში არავინ აკოცებს.

# კითხვა და პასუხი

„ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა არანელსაყრელ მდგომარეობაშია, ვინაიდან მილიონობით ახალგაზრდა ცხოვრობს ქალაქის ჯურღმულეებში და სოფლის ჭოხებში“...

ტრუმენის წერილიდან კონგრესისადმი

ნახ. ა. კანდელაკისა



სას  
ითქვა  
ახლა საკი  
შრომადღეებისა,  
სეირნობისათვის.  
დაგვეთანხმე  
მიერ გამოგზავნილი



სული  
მომელოცნა  
ბოლოს ვინა  
„მტრედის ფოსტა  
რომ შენთან მოწერილ  
„გამომემა მხარადა“, მა  
მოირკვა ხაშურში ასეთი მტრ

ალბათ იკითხავ—რა საჭიროა მტრედების ფოსტა თურს თავისი ნამდვილი და თანამედროვე ტექნიკით ფოსტა აქვსო?

მიზეზიც სწორედ აქ არის: 30 და 31 დეკემბერს მივედი ჩვენს ფოსტაში, ვაუწუოდე შენთან გამოსავხავნილი წერილი, მაგრამ განყოფილების სარკმლიდან ჩვენი მტრედის ცივი ხმა მომესმა:

„ჩველი ახალგაზრდობა“ ჯურღმულეებში?

## მეცნიერება და ბაჰიკა

### ახალი სარესავი

ნივთების გალესვა ყოველთვის საყურადღებო პრობლემაა მკითხველებისათვის. განსაკუთრებით ძნელი გადაწყვეტილებაა გალესვის საკითხი, რადგან საამისო საღებავებისათვის ამჟამად თავს არაფერ იწუხებოდა უნდა ვუმადლოთ



მხარაძე  
ბუღია, რომ  
ნახ.



2. იმიტომ, რომ მათ ხ.რჯუხე დაზღვილ დოლარებით „დახმარება“ აღმოუჩინონ ჩინეთ-საბერძნეთ-თურქეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნების დემოკრატ ახალგაზრდებს.

საკრედიტო კომისია: ი. ზრიშაშვილი, კარლო კალაქი, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. აბაშიძე (პ/მ. რედაქტორი),

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1948 წ. 2/11. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28 გამოტ. № 5 შეკ. № 107 ტირ. 7500 უფ 01040